# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 327. კვირა, 3 ივლისი 1905 წ. გაზეთის № 2852.

### ვაი ჩვენ თავს

ქემაკები ლოცულობენ,
გულს ჰკიდიათ ავგაროზი,
ვაი ჩვენ თავს, ვაი ჩვენ თავს,
ავად არის ტარტაროზი!

—

სიცხე მისცა ორშაბათსა
და სამშაბათს მოუმატა,
არ ეშველა, თუმც შესწირეს
სამსხვერპლოზე შავი კატა.

—

თურმე კუში მეეშალა
საუცხოვო ერთს ნადიმზე,
სამკურნალოდ მიუთითეს
ჯოჯოხეთის რქიან ვირზე.

—

უებარი რამ გამოდგა:
ქერ-ნაჭამი ის მკურნალი,
შეატყო, რო ტარტაროზსა
მოხვედროდა ავი თვალი.

—

და მომართა მან საყვირი,
დაიგრგვინა, დაიმუხა,
ჭყარა ტლინკი, მაგრამ, ვაი!
თავათ კლდეზე გადიჩეხა!

—

იმის შემდეგ, ხელმეორედ
მიიწვიეს ქაჯთა დასი,
ზოგს უჭირავს სველი ტილო,
ზოგსაც მიაქვს ოქროს თასი!

—

ზოგი მაჯას, ზოგი შუბლსა,
ზოგი გულზე ადებს ხელებს,
ყველას გარეთ ისტუმრებენ,
ვინც ხმა მაღლა ჩაახველებს!

—

მაგრამ რაც დღე-ღამე გადის,
მით სუსტდება ავადმყოფი,
სადა არის დაობლდება
ჯოჯოხეთის სრა-სამყოფი.

—

ქემაკები ზარს ამბობენ,
გულს ჰკიდიათ ავგაროზი,
ვაი ჩვენ თავს, ვაი ჩვენ თავს,
კვდება, კვდება ტარტაროზი!

**ი ევდოშვილი.**

**საერო და საქალაქო მოღვაწენი, რომელნიც 6 ივნისს წარუდგნენ პეტერბურგში ხელმწიფე იმპერატორს.**



დგანან: თავ. დ. ლვოვი, ფ. როდიჩევი, თავ. გ. ლვოვი, ფ. გოლოვინი, ნ. კოვალევსკი, თავ. პ. დოლგორუკოვი, თავ. ს. ტრუბეცკოი, ი. ნოვოსილცევი და თავ. ტ. შახავსკოი. სხედან: ბარონ პ. კორფი, გრ. პ. გეიდენი, ი. პეტრუნკევიჩი, მ. ფეოდოროვი და ა. ნიკიტინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყალბი აბაზიანი

**რეიზენისა**

სტუდენტმა გლიკმანმა დიდის გაჭირვებით გაატარა გაკვეთილებით ზამთარი. მაგრამ დადგა ზაფხული. იმისი მოწაფეები საგარაკოდ წავიდ-წამოვიდნენ და გლიკმანი დარჩა უგროშოდ, იმედ დაკარგული. ამხანაგების წრეში პატიოსან და მშრომელ კაცად ირიცხებოდა, ამიტომ ამხანაგებიც მზად იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ მისთვის უკანასკნელს გროშამდის. პირველ ხანებში გლიკმანს უხერხულად მიაჩნდა დახმარება მიეღო ასეთ ღარიბ ამხანაგებისაგან, როგორც თვითონ იყო, მაგრამ იმ აზრით ინუგეშებდა თავს, რომ როგორც კი იშოვნიდა პირველ გაკვეთილს, იმწამსვე გავისტუმრებ ვალებსაო. გავიდა რამდენიმე კვირა. გლიკმანის ამხანაგები უარესად დაღარიბდნენ,—ზოგი უგაკვეთილოდ დარჩა, ცხოვრების ყოველ სახსარს მოკლებული. გლიკმანი ნათლად ჰხედავდა, რომ მწარე შიმშილი მოელოდა; დაივიწყა თავისი ამპარტავნება, ვალების გასტუმრებაზედ ფიქრი და მხოლოდ იმ აზრით გაიმსჭვალა, ვისგან ესესხნა კიდევ ფული, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. ყოველ ნაცნობს, ვისაც კი შეხვდებოდა, მოკრძალებით სთხოვდა ფულს. ხან და ხან, როდესაც ჩაუფიქრდებოდა თავის მდგომარეობას და გადაწყვეტილებას, შერცხვებოდა და მწარე ოხვრით ეტყოდა თავის თავს: „შენა თხოულობ, ჩემო თავო!“. მაგრამ დიდხანს არც ამ უკანასკნელს აზრს ჰყოლია გლიკმანი შეპყრობილი, შიმშილმა ესეც გადაავიწყა.



**სოფიო ციციშვილი**

(იხ. „ცნ. ფურც.“ № 2852).

ერთხელ, შუა დღის თორმეტ საათზე, გლიკმანი ნელა მიდიოდა შუა ქუჩაში და მშიერის თვალებით ნაცნობებს ეძებდა. იგი ზიზღით უცქეროდა გარეშემო ადამიანების ბრბოს, რომლის სახეზედაც ცხოვრებისადმი კმაყოფილება გამოიხატებოდა. მხოლოდ ის იყო გამორიცხული ამ ბრბოდან და ამიტომაც შიმშილით სული სძვრებოდა. სცხვენოდა, რომ „ყმაწვილი კაცი, განათლებული, ხელ-ფეხის პატრონი, მშიერი, ყველასგან მოძულებული, უსაქმოდ დახეტიალობდა ქუჩებში.

— სირცხვილია, ჭეშმარიტად, სირცხვილია!

გლიკმანი სცდილობდა მოენახა ისეთი რამ თავის სანუგეშებლად, რომელსაც ცხოვრებასთან საბრძოლველი ძალა მიემატებინა.

„მე მარტო არა ვარ“—ინუგეშა ბოლოს თავი ძველებურად—„ჩემი მსგავსი მრავალია“.

მას სურდა გამვლელ-გამომვლელთა შორის დაენახა თავის მსგავსი კაცი, მაგრამ ყველას ისეთი კმაყოფილი სახე ჰქონდა, რომ ამ ერთად-ერთ ნუგეშზედაც უნდა ხელი აეღო და სასოწარკვეთილებას მის[illegible]ა.

ამ დროს შეამჩნია, რომ ვიღაც ნაცნობი უახლოვდებოდა, რომლის სახელი უკვე დავიწყებოდა. „ის მასესხებს“— გაურბინა თავში გლიკმანს და გააჩერა ნაცნობი:

— გამარჯობა!

„ნაცნობმა“ გაკვირვებით გადახედა გლიკმანს, ვითომ ვერც კი იცნო იგი.

— დაგავიწყდათ?—განაგრძო გლიკმანმა,—ჩვენ ერთმანეთი გავიცანით ზილბერმანთან, გაიხსენეთ?

— ოჰო უკაცრავად, მახსოვს!—სთქვა ნაცნობმა, გაიღიმა და ისევ გაჩუმდა.

„მასესხებს“, გაიფიქრა გლიკმანმა და დაიმედებულმა მიჰმართა ნაცნობს:

— იცით რისთვის გაგაჩერეთ? ეხლა მოულოდნელად დამჭირდა ერთი აბაზი; აქედან ძალიან შორს ვცხოვრობ, პორტმანი კი შინ დამრჩა... შეიძლება მასესხოთ? ორ დღეში უკანვე დაგიბრუნებთ...

„ნაცნობმა“, პასუხის მაგიერ, ამოიღო ჯიბიდან პორტმანი და აჩვენა გლიკმანს. პორტმანი ცარიელი იყო.



**თავ. ვ. გოლიცინი.**

მოსკოვის ქალაქის თავი, რომელმაც მიიწვია კრებაზე რუსეთის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი.

— მართლა, სადღაც ერთი აბაზიანი მქონდა,—სთქვა ნაცნობმა, მაგრამ მგონი ყალბია.

— მიჩვენეთ,-უთხრა გლიკმანმა სიხარულით.

ნაცნობმა გაჭირვებით იპოვნა აბაზიანი:

— ვნახე..... აა.....

—-გლიკმანმა, თითქმის გამოსტაცა-მოცემაც კი არ აცალა—„ნაცნობს“ აბაზიანი და მიუხედავად იმისა, რომ ფერი და სიმჩატე აბაზიანისა იმის სიყალბეს მოწმობდა, ჩაიდო ჯიბეში და სთხოვა „ნაცნობს“, დაეთმო ეს აბაზიანი.

— დიდის კმაყოფილებით,—სთქვა ნაცნობმა, თითქოს მოხარული იყო, რომ გაინთავისუფლა თავი იმ ყალბ აბაზიანისაგან.

— ნახვამდის!—თითქმის არც შეუხედნია ნაცნობისთვის, ისე წაიბუტბუტა გლიკმანმა და გაუდგა გზას.—მე ვუშოვნი ამას ადგილს!—ისე ხმა მაღლა წამოიძახა გახარებულმა გლიკმანმა, რომ გამვლელთა ყურადღება მიიქცია. იქვე მახლობელ დუქანში შევიდა.

როგორც „რეპეტიტორი“ პროფესიით, გლიკმანი კარგად იყო ჩაცმული, რის გამო მედუქნემ შეძლებულ კაცად მიიღო და ზრდილობიანად მიჰმართა:

— რას ინებებთ, ბატონო?

გლიკმანმა ხარბად გადახედა იქვე მდებარე პურსა და ყველს და უთხრა:

— ამიწონე ორი გირვანქა პური და ერთი მეოთხედი ყველი. ყველი კარგია?

— მშვენიერია, კარგი ყველია,—დაუწყო მედუქნემ ქება ყველს და პატარა ნაჭერი დანის წვერით მიაწოდა გლიკმანს.

— გასინჯეთ და დარწმუნდებით.

გლიკმანმა ხარბად ჩაიდო პირში ყველის ნაჭერი, მაგრამ გაახსენდა ყალბი აბაზიანი და ისე ჩქარა გადაყლაპა, რომ გემო არც კი გაუგია.

— ჰო, კარგი ყველია!—მიუგო იმ ფიქრში გართულმა, თუ როგორ შეეჩეჩებინა მედუქნისთვის ყალბი აბაზიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედუქნემ გახვია ყველი ქაღალდში და მისცა გლიკმანს. გლიკმანმა აკანკალებულის ხელით გადაუგდო აბაზიანი.

— მომეცით ხურდა!—გაჭირვებით წარმოსთქვა მან.

მედუქნემ კარგად გაარჩია რომ აბაზიანს სხვანაირი ხმა ჰქონდა და მიმართა გლიკმანს:

— უკაცრავად, ბატონო, შეიძლება სხვა ფული გქონდეთ, ეს აბაზიანი ყალბია.

— ყალბია?—ცრემლ მორეულ ღიმილით სთქვა გლიკმანმა, აიღო აბაზიანი, ჩაიდო ჯიბეში, მე მეტი არა მაქვსო, მიაძახა, გამოვიდა დუქნიდან და გაუდგა გზას.

— რა ვქნა!—მწარედ ოხვრავდა გლიკმანი,—არ ვიცი, საით წავიდე, რა მოუხერხო ამ მშიერ მუცელს. კარგი აბაზიანია,—ატრიალებდა გლიკმანი, უნდოდა თავი მოეტყუებინა, დარწმუნებულიყო აბაზიანის სიკარგეს, რომ უფრო თამამად შესულიყო სხვა დუქანში.—მყვლეფავებო, ცბიერებო, იყავით წყეულნი!—წამოიძახა აღელვებულმა გლიკმანმა.—ოჰ, რომ შემეძლოს, ყველა ამ წურბელებს, ხალხის შრომით გამძღრებს, ერთ საათში გავწყვეტდი, ამ მაღალ ამპარტავან სახლებს დავანგრევდი, ერთის სიტყვით ყველაფერს მიწასთან გავასწორებდი და სამართლიანადაც მოვიქცეოდი, რადგან ღირსნი არიან!

გლიკმანი შევიდა ერთ' დუქანში, სადაც პატარა გამხდარი ატირებული გოგო დაინახა.

„აქ მაინც გავასაღებ ამ აბაზიანს“,—გადაწყვეტით გაივლო გულში. „ბოროტზედ უბოროტესი უნდა იყო კაცი, რომ ეს გოგო მოატყუილო — უთხრა გულმა გლიკმანს. მაგრამ ისე მწარედ შიოდა, რომ გადასწყვიტა ამისთვის ყურადღება არ მიექცია. როდესაც გოგომ პურს დაუწყო ჭრა, გლიკმანმა შეამჩნია, რომ ხელები უკანკალებდა. — „ბოროტი უნდა იყო, რომ ეს საწყალი გოგო მოატყუო“—კიდევ გაივლო გლიკმანმა გულში, მაგრამ შიმშილმა თავისი გაიტანა.

— აბა მომეცი ხურდა,—და მიაწოდა გოგოს აბაზიანი. მას უნდოდა გოგო თავისით მიმხვდარიყო, რომ ატყუებდა.



იაპონიის ადმირალი ტოგო რუსის დაჭრილ ადმირალ როჟესტვენსკისთან.

მაგრამ გოგომ ხურდა მიაწოდა. გლიკმანს ცივმა ოფლმა დაასხა და ადგილიდან არ იძვროდა.

— გოგო, დედა გყავს?

— არა!—გლიკმანი კინაღამ წაიქცა, მაგრამ თავი შეიმაგრა და კიდევ ჰკითხა:

— დედინაცვალთან სცხოვრობ?

— ჰო.

— ხშირად გცემს ხოლმე დედინაცვალი?

გოგომ უკანასკნელ კითხვაზე პასუხი არ მისცა, მაგრამ გლიკმანი ნათლად კითხულობდა იმის ნამტირალევ თვალებში, რომ დედინაცვალი სცემდა, ჰხედავდა, რომ ყალბი აბაზიანი კიდევ ბევრ წყრომას და ცემას უმზადებდა. ამ ლაპარაკის დროს გლიკმანი, პირში ნერწყვ მოსული, ხელს აჭერდა პურს და ხან თეთრ კედლებს აჩერდებოდა, ხან გოგოს.

— გოგო, მიიღე უკან პური და ხურდა და დამიბრუნე ჩემი აბაზიანი.

— რისთვის?—დამნაშავის სახით ჰკითხა გოგომ.—ცუდი პურია თუ?

— არა, საქმე ეგ არ არის, მაგრამ მაინც გამიგონე.

გაკვირვებულმა გოგომ დაუბრუნა გლიკმანს აბაზიანი.

— ამის შემდეგ ფრთხილად იყავი, ყური უგდე არავინ მოგატყუოს, თორემ, ხომ იცი, საწყალი ობოლი ხარ!—უთხრა გლიკმანმა და გავიდა დუქნიდან.

„არ შემიძლიან, არ შემიძლიან!“ იმეორებდა გლიკმანი...

გაბრაზებულმა დაანარცხა ქვას აბაზიანი, რომლის ყრუ ხმამაც ჰაერის სიმშვიდე დაარღვია და სიმშილისაგან მისუსტებული გაუდგა გზას იმედით, რომ ეგებ ვინმე ნაცნობს შეხვედროდა...

**კ. ფარეიშვილი.**





**სახალინი.**—კორსაკოვის სიმაგრეზე, რომელიც უკვე აიღეს იაპონელებმა.

# ცხოველების სამეფოდან. სხვა და სხვა ჯიშის ძაღლები.



—პირშეკრული ვიყო სჯობია სიკვდილს, მაგრამ მე მაინც ყოველის ჩემის გრძნობით პროტესტს ვუცხადებ ჩემის პირის ამკვრელთ.



„ბულდოგი“ — ტიპი გულკეთილ თავმჯდომარისა.



— სწორე მოგახსენოთ, ჩემთვის სულ ერთია, პირს ამიკრავენ თუ არა, ოღონდ ყოველთვის მაძღარი ვიყო.



„მეეფარი“ — ჰყავს ზოგიერთ რედაქციას.



გაზეთის რეპორტიორი არა ერთხელ შეჰნატრის ამის ალღოს და ყნოსვას.



„პუდელი“ — დიდად განვითარებული, ნაკითხი და სწავლული.



„სეტერები,“ „პოინტერები“—არისტოკრატია გახლავთ ძაღლებში.



„დოგი“—არსება ფრიად დარბაისელი და მაღალ ხარისხოვანი. ამას ჰგრძნობს თვითონაცა და თავიც ისე უჭირავს.



„ცხვრის ძაღლი“ გულმოდგინედ და მოთმინებით აწოვებს თავის—ლეკვებს; არა ჰგავს ზოგიერთ დედებს!



„ბოლონკები“, „დივრეტკები“—მუქთამჭამლები, უსაქმურები; ამათ ყველგან ხშირად ვხედავთ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი